# ხიშოლეთები

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№4 (34) აპრილი 2010 წელი

წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული

# ერთი მიწის შვილები

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

# საპატრიარქო ენციკლიკა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

**ეოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო,**
**ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო,**
**ეოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და**
**დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო**
**ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!**

## ქრისტე აღდგა!

აი, დგება ჟამი ყოვლისმომცველი ბედნიერებისა! გმინავს შემუსვრილი ჯოჯოხეთი, ხოლო მისი დიადი მძლეველი ზეცად მაღლდება და თან შემხვედრ გაოცებულ ანგელოზთა ხმა მიჰყვება: „ვინ არს ესე მეუფე დიდებისაი?“

აწ უკვე ჩვენც, აღდგომის სიხარულით აღვსილნი ქრისტიანენი, პასუხად ვამბობთ: „უფალი ძალთაი თავადი არს მეუფე დიდებისაი“ (ფს. 23).

„სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? აღსდგა ქრისტე და დაირღვიე შენ; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი, აღსდგა ქრისტე და იხარებენ ანგელოზნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს!“ (ზატიკი).

ამ დღესასწაულთა დღესასწაულს — მრავალსაუკუნოვანი მტანჯველი მოლოდინი უძღოდა წინ.

რა იყო მიზეზი კაცთა მოდგმის ასეთი ხანგრძლივი და დიდი განსაცდელისა?

ღმერთმა ადამი თავის ხატად და მსგავსად შექმნა და მთელი ხილული სამყაროს მეფედ დაადგინა. იგი იყო ერთადერთი არსება უკვდავი სულის მქონე, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ხორციელ და სულიერ ბუნებას. შემოქმედმა მას თავისი ბუნების თვისებები მიჰმადლა, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესის, — თავისუფლების, — შესახებ ამ ეპისტოლეში მინდა გესაუბროთ.

სწორედ თავისუფალი ნებით იყო ადამი უფალს დამორჩილებული, რაც სიყვარულისა და სიკეთის უშრეტ წყაროსთან, — ღვთაებრივ მადლთან მის კავშირს განაპირობებდა.

ანგელოზთა დასსაც თავისუფალი ნება ებოძა ღვთისგან. თავისუფლების არასწორად გამოყენების გამო კი ერთ-ერთი უპირველესი ანგელოზი ამპარტავნებამ შეიპყრო, თავისი ნებით განშორდა შემოქმედს და ეშმაკად იქცა; მანვე უბიძგა ადამიანს ცდუნებისკენ, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ სამყაროს გვირგვინი — ადამიანი ცოდვას დაემონა; შეეცვალა აზროვნების

და ყოფის წესი და როგორც თვითონ, ისე მისდამი რწმუნებული სამყაროც მასთან ერთად დაეცა; ადამმა და ევამ დაკარგეს ჭეშმარიტი სიყვარული, ჭეშმარიტი სიკეთე და თავისუფლება; დასნეულდნენ ამაოების, ბოროტების, სიძულვილის, შურის, ასევე სხვა მრავალი სენით და სიკვდილსა და ხრწნილებას დაექვემდებარნენ.

ასეთი იყო კაცთა მოდგმის მდგომარეობა ქრისტეს მოსვლამდე. ჯვარცმითა და აღდგომით მაცხოვარმა ჩვენი ცოდვები აღხოცა და ჩვენი წყლულები განკურნა, შემუსრა ჯოჯოხეთი და სიკვდილი განაქარვა, დაამხო ეშმაკის მეუფება და კვლავ მოგვანიჭა ნამდვილი თავისუფლება და სიხარული. ამასთან უფალმა დაგვიბრუნა ძველი დიდების აღდგენის შესაძლებლობაც. ამიტომაც წერს პავლე მოციქული: თავისუფლებისათვის განგვათავისუფლა ქრისტემ... ნუღარ დავიდგამთ მონობის უღელს“ (გალ.5,1).“

მაცხოვარმა არა მარტო ცოდვისა და ტყვეობისაგან იხსნა კაცობრიობა, არამედ ადამიანთა შორისაც ურთიერთობის სრულიად ახალი გაგება მოიტანა: „არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არც აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28), — გვასწავლის მოციქული.

საოცარია, ეს სიტყვები დაიწერა მონათმფლობელობის პერიოდში, იმ დროს, როცა ქალის უფლებები უკიდურესად შეზღუდული იყო და რასობრივი დისკრიმინაციაც მკვეთრად იყო გამოხატული.

მან ეკლესიაში სიყვარულით შეაერთა საზოგადოების არა მარტო განსხვავებული, არამედ დაპირისპირებული ფენებიც და მამა ღმერთს ასე შეაევედრა: „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო ჩემდამო, და მე შენდამი“ (ინ.17,11).

თავისი მოწაფეებიც მაცხოვარმა საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან შეკრიბა: ანდრია, პეტრე, იაკობი და იოანე მეთევზეები იყვნენ, მათე — სა-

*(გაგრძელება მე-4 გვ.)*

*(დასაწყისი მე-3 გვ.)*

ხელმწიფო მოხელე, ლუკა — მხატვარი და ექიმი, პავლე — რაბინთა სკოლაში აღზრდილი, იოსებ არიმათიელი — წარჩინებული პირი,... და ამით გვიჩვენა, რომ ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ და ჩვენს შორის მეტ-ნაკლებობას მხოლოდ სულიერი განვითარება განაპირობებს და არა სიმდიდრე, წარმომავლობა, გარეგნობა ან თანამდებობა.

ეკლესია თავისუფალ ადამიანთა ერთობაა, ნებისმიერი ადამიანის ნავთსაყუდელია. აქ არსებული საეკლესიო იერარქია კი — ოდენ საშუალება საეკლესიო მმართველობის განხორციელებისა და საიდუმლოებების აღსრულებისა. სახარებიდანაც ნათლად ჩანს, რომ, სახელმწიფოსგან განსხვავებით, იერარქიას ეკლესიაში თვისობრივად სხვა ფუნქცია აქვს; „ვინც ხალხის მთავრებად არიან მიჩნეულნი, — ვკითხულობთ აქ, — ბატონობენ მათზე და მათი დიდებულნი ხელმწიფებენ მათზე, მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის იყოს თქვენი მსახური, ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს თქვენი მონა“ (მკ. 10. 43-44).

ამიტომაცაა, რომ მაცხოვარი მეგობრებს უწოდებს თავის მოწაფეებს და ფეხებს ბანს მათ; ყველა კეთილმორწმუნე ადამიანს კი შვილობის მადლს მიაგებს და პატივს ანიჭებს, ღმერთს მამა უწოდონ („მამაო ჩვენო“).

* * *

მაცხოვნებელ სწავლებასთან ერთად ქრისტიანობამ ერებსა და ხალხებს თავისუფალი განვითარებისათვის საოცარი მუხტი მისცა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა დამოუკიდებელი ეროვნული კულტურების ჩამოყალიბება.

საქართველოშიც ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ერთიან ერად ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის დასრულებას და ჭეშმარიტი თავისუფლებისა და თვითმყოფადობისათვის ზრუნვის სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლას. შედეგი ამისა იყო ის, რომ ჩვენთვის ქრისტიანობის დაცვა სამშობლოსა და ჭეშმარიტი თავისუფლების დაცვად იქცა.

ამ თავისუფლების სამსხვერპლოზე სიცოცხლეს ზვარაკად უშურველად სწირავდნენ მეფენიც და გლახაკნიც, ახალგაზრდებიც და მოხუცებულნიც.

გავიხსენოთ XVI საუკუნე; ამ დროს საქართველოს დაპყრობას ცდილობდა ურთიერთდაპირისპირებული ორი დიდი სახელმწიფო, — სპარსეთი და ოსმალეთი. დიდგვაროვანთა ერთი ნაწილი ოსმალეთის სულთანს ეგებოდა ფეხქვეშ, მეორე ნაწილი კი — სპარსეთის შაჰს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ქართლის მეფე სვიმონი მაინც თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. სამშობლოს ერთგული შვილი ტყვეობამაც ვერ გატეხა, იგი ბოლომდე თავისუფალ პიროვნებად, მამულისა და სარწმუნოების დამცველ რაინდად დარჩა. მისი ცხოვრება მაგალითად იქცა და მრავალნი განამტკიცა.

ხალხს თავდადების ასევე ბრწყინვალე მაგალითი უჩვენა მისმა შვილიშვილმა, მეფე ლუარსაბ II-მ, რომელმაც, სავსებით ახალგაზრდამ, თავისუფლებასა და ქრისტიანობას შესწირა სამეფო ტახტიც, სიცოცხლეც და მოწამეობრივად აღესრულა.

ასობით და ათასობით გაღებულმა ასეთმა მსხვერპლმა ჩვენს ერს დიდება მოუპოვა, რამაც მრავალტანჯული ეს პატარა ქვეყანა გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა.

რა თქმა უნდა, ნაწილმა ვერ გაუძლო ცდუნებას და წარმავალი კეთილდღეობა ამჯობინა თავისუფლებას. ხშირად მათ მაღალი თანამდებობები ეკავათ, ზოგიერთი კი ქვეყანასაც მართავდა, მაგრამ სინამდვილეში მონა და მსახური იყო დამპყრობლისა.

ეს ყველაფერი ნათლად წარმოაჩენს იმ რეალობას, რომ თავისუფლებაცა და მონობაც შინაგანი, სულიერი მოვლენაა და მას ადამიანიცა და ერიც თავისი ნებით ირჩევს.

ჩვენმა ხალხმა არჩევანი დიდი ხნის წინ გააკეთა და ეს განწყობა სასიქადულო პოეტმა, აკაკი წერეთელმა ძალიან მოკლედ, მაგრამ მრავლისმთქმელად ამ სიტყვებით გადმოსცა:

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

შინაგანი როგორი სილაღე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის როგორი სიყვარულია მასში გაცხადებული!

ამ განწყობას, რა თქმა უნდა, რწმენა განაპირობებდა. ქართველმა იცოდა, რომ ქრისტიანული ცხოვრებითა და ქვეყნისათვის თავდადებით სასუფეველს დაიმკვიდრებდა და ამდენად, მისთვის სიკვდილი არსებობის ერთი სახიდან მეორე სახეში გადასვლის საშუალებას წარმოადგენდა.

ამ აზრის შემცველია გენიალური ქართული სიტყვა — გარდაცვალებაც; რაც გულისხმობს იმას, რომ პიროვნება კი არ ქრება, არამედ იცვლება, სიცოცხლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ჩვენს ენაში სხვა ასევე მეტად საინტერესო გამოთქმებიცაა.

მშვენიერი მიმართვაა, მაგალითად, ლაზური „შური მშინე“ („სულის მომხსენიებელი“). ასე უწოდებს ლაზი თავის პატარა შთამომავალს, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი მისი სულის მომხსენიებელი იქნება; საინტერესო გამოთქმაა „ცაშა ეხტიც“ (ანუ ცაში ახტი, ცას ეწიე), რომელსაც გარდაცვალებასთან დაკავშირებითაც იყენებენ და ყოველდღიური სამადლობელი დალოცვის ფორმადაც.

გავიხსენოთ თუნდაც ხევსურეთში დაცული უძველესი წესი ახლადშობილ ბავშვზე, მეორე, ე.წ. სულის სახელის დარქმევისა, როდესაც მას გარდაცვლილი უახლოესი ნათესავის სახელს არქმევენ;

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტრადიციად აქვთ მიცვალებულთა სახელზე კვერების გამოცხობა; სიკვდილ-სიცოცხლის სიახლოვეზე მიუთითებს ისიც, რომ თითქმის ყველგან ლხინის სუფრაზე გარდაცვლილთა მოსაგონარ-შესანდობარი ისმევა, ჭირის სუფრაზე კი — ცოცხალთა სადღეგრძელოები და სხვა.

ასეთია საზოგადოდ ჩვენი მენტალიტეტი.

* * *

აქვე მინდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც:

ჩვენმა წინაპრებმა, ფარნავაზისა და ქუჯის მსგავსად (ძვ. წ. აღ. III ს.), 1790 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურეს და საჯაროდ განაცხადეს სხვადასხვა კუთხის ქართველთა ერთობის შესახებ;

შედგა დოკუმენტი, სახელწოდებით — „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც ხელი მოაწერეს მეფე-მთავრებმა. ეს იყო პასუხი საქართველოს გახლეჩისა და დაქუცმაცების მოსურნეთა მიმართ, რომელნიც ცდილობდნენ ჩვენი სამშობლოს დაყოფას და სხვადასხვა კუთხის ერთმანეთისადმი გაუცხოებას.

ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა, რასაც ჩვენი ერის სასიქადულო შვილებმა, — წმიდა ილია მართალმა (ჭავჭავაძემ), მისმა თანამებრძოლებმა და ასევე მთელმა საზოგადოებამ საკადრისი პასუხი გასცეს.

აღნიშნული თემა XX ს-ში კვლავ წინ წამოსწია კომუნისტურმა რეჟიმმა და მას მიზანმიმართული პოლიტიკის სახე მისცა. ამან გამოიწვია აფხაზებისა და ოსების გაუცხოება მათთვის ნათესაური და ბუნებრივი ქართული გარემოსგან და შედეგად მივიღეთ დღეს არსებული კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, გლობალური პოლიტიკური დაპირისპირების გამოვლენაა, მაგრამ ამისთვის ნიადაგი დიდი ხნით ადრე მომზადდა.

დღესაც ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი და ექსპერტი ისევ ახორციელებს მიზანმიმართულ ანტიქართულ სამეცნიერო-იდეოლოგიურ კამპანიას.

ამიტომაც გამოვედით ინიციატივით, მთელს ერს კვლავ დაედო „ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი“

*(გაგრძელება მე-5 გვ.)*

*(დასაწყისი მე-4 გვ.)*

და ამით ჩვენს დროში კიდევ ერთხელ გაგვეცა პასუხი ავისმსურველთათვის.

ახალ ტრაქტატზე ხელმოწერა დაიწყო გასული წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში და ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. 2010 წლის სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე შეგროვილი ხელმოწერები კი დაიდება ტაძრის საკურთხეველში და ყველა ამ ადამიანის სახელით აღევლინება ლოცვა ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის (ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დოკუმენტზე ყველას ხელმოწერა იყოს).

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ეს მოხდება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის 1000 წლისთავზე.

უფლის საოცარი განგებულებით ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას ებოძა როგორც ყოვლადწმიდა მარიამის კვართი, რომელიც ზუგდიდშია დასვენებული, ისე კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც I საუკუნიდანვე სვეტიცხოვლის ტაძარშია დაკრძალული. ამიტომ იქცა სვეტიცხოველი საქართველოს უპირველეს ტაძრად, სადაც უძველესი დროიდან იხარშება მირონი, ეკურთხებოდნენ მეფენი, ეკურთხებიან პატრიარქნი და მღვდელმთავარნი; აქვეა მათი ძვალთშესალაგიც.

ამ უდიდეს სულიერ მნიშვნელობასთან ერთად სვეტიცხოველს, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ისტორიულ-პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, — იგი არის ერთიანი და ძლიერი საქართველოს სიმბოლო, რადგან XI საუკუნიდან, როდესაც დასრულდა განახლება-გამშვენება ამ წმიდა ტაძრისა (თავდაპირველი სახით სვეტიცხოვლის ეკლესია IV ს-ში აშენდა), ჩვენი ქვეყნის ზეობის ხანას ჩაეყარა საფუძველი.

ვაცნობიერებთ კი, რომ ცხოველსმყოფელი სვეტის საფუძველში თავად განკაცებული ღმერთის — ჩვენი მაცხოვრის კვართი განისვენებს, რომლისგანაც მომდინარე საოცარ მადლს განსაკუთრებული კრძალვით უნდა მივეახლოთ?! ეს ჩვენი ერისთვის მომადლებული უდიდესი წყალობაა უფლისა, რაც დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

საერთოდ, წმიდანთა ნაწილები და ყოველი სიწმინდე ღვთაებრივი მადლის წყაროა, რომელთანაც თანაზიარების საშუალებას უფალი სხვადასხვა სახით გვანიჭებს. მადლის მქონეა: სიწმინდეები, ნაკურთხი წყალი, ჯვარი, ხატები, სანთელი, პური, ღვინო, ზეთი,... მაგრამ მადლის სისავსით წმინდა ზიარებას ვერაფერი შეედრება.

იგია უპირველესი და უდიდესი საიდუმლო ქრისტეს ეკლესიისა!

იგია ერთ-ერთი ყველაზე მთავარი არსობრივი სიახლე, რაც კი კაცობრიობის ცხოვრებაში ოდესმე მოხდა ან მოხდება მეორედ მოსვლამდე.

ყველა წირვაზე იესო ქრისტე დაიკვლის ჩვენთვის, რათა მორწმუნენი არათუ მიეგებონ ჩვენთვის ჯვარცმულ ძეს ღვთისას, არამედ მიიღონ მისი ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი, რათა განუყოფლად და შეურევნელად შეუერთდნენ მას.

ზოგიერთს ჰგონია, რომ წმიდა ზიარების პური და ღვინო მხოლოდ სიმბოლურად მიგვანიშნებს მაცხოვრის ხორცსა და სისხლზე, რაც უდიდესი მკრეხელობა და მწვალებლობაა.

წმიდა ზიარების წინ სათქმელ ლოცვებში არაერთხელ არის გამოთქმული ეკლესიის დოგმატური სწავლება იმის შესახებ, რომ ყოველ წირვაზე იესო ქრისტე ასრულებს საიდუმლო სერობას და, როგორც მაშინ თავის მოციქულებს, ისე ჩვენც მოგვიწოდებს: „მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი... და ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მთ. 26. 26,28).

სამწუხაროდ, ჩვენ, მცირედმორწმუნეობის ან სულიერი სიბრმავის გამო, ხშირად ვერც კი ვაცნობიერებთ, თუ როგორი რწმენითა და პასუხისმგებლობით გვმართებს ამ საიდუმლოსთვის მომზადება.

მეტად გულსატკენია, რომ ზოგიერთი ადამიანი, მართლია, ხშირად ეზიარება, მაგრამ სულიერად საერთოდ არ იცვლება და ჩვეული მანკიერი ცხოვრების წესს აგრძელებს. ასეთი ადამიანი თუ არ გამოსწორდა, დაიღუპება.

კიდევ უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებენ უღირსად მზიარებელნი, რაც სნეულების ან მათი სხვა სახით დასჯის მიზეზი ხდება.

გულწრფელი აღსარებითა და სინანულით მიღებული ზიარება კი სულისა და ხორცის საკურნებელია, რითაც ადამიანის ცოდვითი მიდრეკილებებისაგან თანდათანობით გათავისუფლებაში, მის სულიერ ფერისცვალებაში ვლინდება. მადლობა ღმერთს, ასეთი მრევლიც მრავლად გვყავს.

შევნიშნავთ, რომ არსებობენ ისეთი „მორწმუნენიც“, რომელნიც, მართალია, თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ, მაგრამ აღსარებისა და წმიდა ზიარებისაგან შორს დგანან და მიაჩნიათ, რომ ეს მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, რაც უდიდესი შეცდომა და უდიდესი ცოდვაა!

ეს ფაქტობრივად ქრისტიანობაზე უარის თქმას ნიშნავს, უარის თქმას ნიშნავს იმ მაცოცხლებელ ენერგიაზე, თავისი მოწამებრივი ღვაწლით რომ გვიბოძა უფალმა. ამიტომაც, თუ ჩვენი ხრწნადი ბუნება წმიდა ზიარების საშუალებით მუდმივ კავშირში არ იქნება მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელ ღვთაებრივ მადლთან, შემოქმედს მოწყვეტილნი, სულიერად მოვკვდებით.

გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: „როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისევე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ ძალგიძთ“ (ინ. 15,4).

მაშ, ყველა შიშითა და კრძალვით დავეწაფოთ ღვთიურ მადლს ზიარებისა! ეს კი ბუნებრივად გულისხმობს ცოდვისაგან განდგომას.

აი, როგორ გვმოძღვრავს პავლე მოციქული: „ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა. ასეთი რამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ“ (გალ.5. 16-17). „ცოდვის საზღაური სიკვდილია!“ (რომ. 6.22).

ხოლო სულის ნაყოფია: „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება“... (გალ. 5. 19-23). და „ისინი ვინც ღვთის სულით წარმართებიან, ღვთის შვილები არიან... ღვთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი“ (რომ. 8.14,17).

უფალი ბრძანებს: „რას არგებს კაცს, თუ შეიძენს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მკ. 8, 36-37) მთელი დედამიწის სიმდიდრე არ ღირს ერთი ადამიანის სულად, რადგან იგი ხატებაა ღვთისა. ამიტომაც უმნიშვნელო, უბრალო პიროვნება არ არსებობს.

თითოეული ადამიანი უნიკალურია, დაჯილდოებული განუმეორებელი და განსაკუთრებული ნიჭით, ოღონდ ჩვენ ეს უნდა აღმოვაჩინოთ.

ადამიანი უნდა დაფიქრდეს თავის დადებით და უარყოფით თვისებებზე და ეცადოს დადებითი მხარე კიდევ უფრო განავითაროს, ცოდვითი მიდრეკილებები კი დათრგუნოს და თანდათანობით ჩამოიცილოს. ქრისტიანთათვის დედამიწა არ არის სამოთხე; ეს არის განსაცდელებით სავსე ადგილი და მთავარია, ჩვენ სწორი პასუხი გავცეთ ყოველდღიურ გამოწვევებს.

შეგვიძლია სხვისი სიხარულის გაზიარება, ან გასაჭირში თანადგომა?! შეგვწევს უნარი შენდობისა?! ვართ მშვიდნი თუ შურით სავსენი?! ადამიანის მოყვარულნი თუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის მზრუნველნი?!

საერთოდ, სამოთხეც და ჯოჯოხე-

*(გაგრძელება მე-6 გვ.)*

*(დასაწყისი მე-5 გვ.)*

თიც ნებისმიერი ადამიანისათვის აქ, ამქვეყნად, იწყება.

ამ რეალობის წინაშე დგას კაცობრიობაც და თითოეული ჩვენგანიც უკვე 2000 წელია. ყოველივე ამის გათვალისწინებით არის, რომ ეკლესია ასე ხშირად მოუწოდებს საზოგადოებას ზნეობის დასაცავად და ქრისტიანული გზით სვლისაკენ.

განა შეიძლება გულგრილი ვიყოთ მაშინ, როდესაც ხდება ქრისტეს სწავლების უგულებელყოფა, ავხორცობისა და ძალადობის პროპაგანდა და, საერთოდ, ხალხის სულიერი დეგრადირებისათვის ხელშეწყობა; ამის მოქმედნი, ალბათ, ვერ აცნობიერებენ, რომ თავსაც იღუპავენ და ათასობით ადამიანსაც დიდ ცოდვაში აგდებენ. კიდევ ერთხელ შევახსენებთ მათ მაცხოვრის მკაცრ გაფრთხილებას: „ვინც ღვთისგანაა, ღვთის სიტყვებს ისმენს, თქვენ იმიტომ არ ისმენთ, რომ ღვთისაგან არა ხართ... „ (ინ. 8.47).

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს, რომ კარგად გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, ღვთისა და სამშობლოს წინაშე.

ჩემო საყვარელო შვილო, ჩაიხედე შენს სულში და გაარკვიე, რა გზით მიდიხარ, ვისი ნების აღმსრულებელი ხარ და ვის ძედ გსურს რომ იწოდებოდე? ეს უმნიშვნელოვანესი კითხვაა, რომელსაც პასუხი აუცილებლად უნდა გასცე; არა აქვს მნიშვნელობა სასულიერო პირი ხარ თუ საერო, ქართველი თუ არაქართველი, ხალხისგან პატივდებული თუ საზოგადოებისგან მიტოვებული.

უნდა იცოდე ისიც, რომ ნებისმიერ პიროვნებას აქვს შესაძლებლობა, განეშოროს ცოდვას და, ყველაზე დაცემულ მდგომარეობაში მყოფმაც კი, მთლიანად შეცვალოს თავისი ცხოვრება, ხოლო უფლის ნებასთან თავისი ნების შეერთებით (სინერგიით) მოიპოვოს ჭეშმარიტი თავისუფლება და ღვთის დიდი წყალობა.

ქრისტესთან ყოფნის სიხარული იმდენად ყოვლისმომცველი და ენით აღუწერელი გრძნობაა, რომ მას ვერავითარი მიწიერი განცდა ვერ შეედრება. ეს იმდენად დიდი ნეტარებაა, რომ იგი ვერ დაითრგუნება ვერანაირი სულიერი თუ ფიზიკური ტკივილით.

ნუთუ ბოროტმა უნდა გვძლიოს და ამ ზეციურ მადლსა და გამოუთქმელ წყალობას განგვაშოროს? ნუთუ ისე უნდა განვვლოთ ეს ცხოვრება, რომ ვერ ვიგრძნოთ ნამდვილი ბედნიერებისა და თავისუფლების სიხარული? ნუ იყოფინ!

წმიდა მოციქული ბრძანებს, რომ რწმენა საქმის გარეშე მკვდარია (იაკ.2.26), ამიტომ მსურს თქვენი ყურადღება ორ უპირველეს ქრისტიანულ სათნოებაზე შევაჩერო; ეს არის პატიმართა შეწევნა და სნეულთა მიხედვა.

სახარებაში უფალი თავის თავს ადარებს როგორც პატიმარს, ისე სნეულს და ამბობს: „სნეული ვიყავი და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავი და მოხვედით ჩემს სანახავად,... რადგან, რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“ (მთ. 25. 36,40).

ამიტომაც იყო, რომ რამდენიმე წლის წინ ლოცვა-კურთხევა მივეცი მრევლს, კვირაში ერთი დღე მაინც (მაგ. შაბათი) გამოეყოთ ამ სათნო საქმეთა აღსასრულებლად და ეს კურთხევა მინდა ისევ ყველას შეგახსენოთ (ხოლო, ვისაც ამის გაკეთება არ შეუძლია, ილოცონ მათთვის).

ხელისუფლებას კი ვთხოვ, შექმნან ისეთი სისტემა, სადაც უფრო მეტად იქნება დაცული პატიმართა და სნეულთა უფლებები.

ვფიქრობ, სასწრაფო და გადაუდებელი მკურნალობა უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ, რომ ადამიანი უსახსრობის გამო არ გარდაიცვალოს და ექიმებსაც და სახელმწიფოსაც ღვთის წინაშე მორალური პასუხისმგებლობა ამაზე არ დაეკისროს.

ამასთან, კარგი იქნება თუ სადაზღვევო-სამედიცინო სისტემაზე გადასვლის პროცედურასთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო მასები უფრო მეტად იქნებიან ინფორმირებულნი (განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებნი), რათა მათ სრულად ისარგებლონ ამ სიახლით.

ძალიან მნიშვნელოვანია პატიმრების თემა;

მათ შორის ბევრია გაჭირვების გამო შედარებით მცირე დანაშაულის ჩამდენი, ზოგიერთი კი შემთხვევით ან სხვისი მიზეზით იმყოფება ციხეში.

მიმაჩნია, რომ ასეთი კატეგორიის პატიმრები განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ და მათი გათავისუფლება ან მიმაგრების ადგილებზე გადაყვანის პროცესი უნდა დაჩქარდეს.

ასევე ცალკე კატეგორიად უნდა გამოიყოს ავადმყოფი პატიმრებიც, განსაკუთრებით ტუბერკულოზით დასნეულებულნი; მათ ინტენსიური მკურნალობა უნდა ჩაუტარდეთ.

საერთოდ, ციხეში მყოფთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება მეუღლესთან ცალკე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა. დღეს არსებული იზოლაცია, ერთი მხრივ, მიზეზი ხდება ოჯახების დანგრევისა, მეორე მხრივ, კი პატიმარში არაჯანსაღი ფსიქიკური პროცესების განვითარებისა.

ადამიანისათვის სასჯელად ისიც კმარა, რომ მას თავისუფლება აქვს აღკვეთილი; სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ იგი გამოსწორებული, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი დაუბრუნდეს საზოგადოებას.

* * *

და ბოლოს, ჩვენთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემას, — ტერიტორიული მთლიანობის საკითხს მინდა მოკლედ შევეხო.

მიმაჩნია, რომ ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი მეზობლებთან ურთიერთობაში, მთავარი იარაღი დიპლომატია და პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა უნდა იყოს.

ასევე საჭიროა პირდაპირი დიალოგის დაწყება აფხაზებთან და ოსებთან, რათა აღდგეს ჩვენს ხალხებს შორის ნდობა. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ მიმდინარეობს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი და ერთად ცხოვრება ჩვენ მაინც აუცილებლად მოგვიწევს. არ ვიცი, ეს მათთვის რამდენად მისაღებია, მაგრამ მათი გადარჩენის გარანტია სწორედ ამაშია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ აღნიშნული კონფლიქტი საერთაშორისო ძალთა დაპირისპირების შედეგია, ბუნებრივია, მათ გარეშე ამ პრობლემის მოგვარება გაჭირდება; მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის საპირწონე სხვა ღირებულებები არ არსებობს.

მე ყოველთვის იმედით ვარ აღვსილი და მჯერა, ადრე თუ გვიან საქართველო გაერთიანდება; მჯერა იმისაც, რომ მიწიერი გაგებით როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, უფლისათვის შეუძლებელი არაფერია. მთავარია, ვეძიებდეთ ღვთის სასუფეველს და მის სიმართლეს და ყოველივე მოგვეცემა.

მაშ, შევთხოვოთ მაცხოვარს, ჯოჯოხეთის მსგავსად შემუსროს ჩვენს გულში არსებული ცოდვისა და ვნების სამეფოც, რათა ღვთის მადლით განწმენდილნი ვიქცეთ ტაძრად სულისა წმინდისა და შევძლოთ სწორედ აქ, ჩვენს გულში, განვამზადოთ ახალი საკურთხეველი და ახალი სამეფო ტახტი ჩვენთვის ჯვარცმული და აღდგომილი იესოსთვის.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

მაშ, „გარდაიქეცინ გლოვაი თქვენი სიხარულად და მწუხარებაი იგი მხიარულებად“ ამინ!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი

**ილია II**
***სრულიად საქართველოს***
***კათოლიკოს-პატრიარქი***

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2010 წელი

# ერთი მიწის შვილები

ამ ცოტა ხნის წინ რამდენიმე აფხაზურმა ოჯახმა, რომლებმაც გადაწყვიტეს გარიდებოდნენ მშობლიურ კუთხეში შექმნილ რთულ ვითარებას, თბილისს მოაშურა, სადაც მათ საქართველოს მთავრობისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის გიორგი ბარამიას ხელშეწყობით საცხოვრებელი ფართები გამოუყვეს და დედაქალაქში დაამკვიდრეს.

განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ მათ მიმართ დედა ეკლესია, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება.

აფხაზ ოჯახებში მიბრძანებული იყო ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ყველა მათგანმა მოილოცა.

5 აპრილს, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, მეუფე დანიელმა მოინახულა დევნილები, აკურთხა მათი საცხოვრებელი ბინები, დალოცა და ფასიანი საჩუქრები გადასცა მათ. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა და ცენტრის თანამშრომლები ალექსანდრე ფარფალია, ჯუსტან მარღანია და სხვები.

7 აპრილს, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულს, აფხაზი მრევლი მეუფე დანიელმა მარტყოფის მამათა მონასტერში მიიწვია, რომელიც მიტროპოლიტის დროებით რეზიდენციას წარმოადგენს. ტაძრის წინამძღვარი, მამა ბენიამინი (ბელქანია), თავად სოხუმის მკვიდრია. ტაძარში მეუფე დანიელმა საზეიმო პარაკლისი აღავლინა. აქვე იმყოფებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე და თანამშრომლები, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება. პარაკლისის შემდეგ სტუმრებმა პატივი მიაგეს იღუმენ ელისეს (ბელქანიას) ხსოვნას და სანთლები დაანთეს მის საფლავზე. ბერები გულთბილად შეხვდნენ თანამემამულეებს, ტრაპეზზეც მიიწვიეს. დასასრულს მეუფე დანიელმა ყველა იქ დამსწრეს საჩუქრად გადასცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და გ. ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ალბომი „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაბადებიდან 75 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავს ეძღვნება.

აფხაზ თანამემამულეებთან შეხვედრები გაგრძელდა. მეუფე დანიელის კურთხევით 11 აპრილს სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ისინი წირვაზე წაიყვანა წმ. ანდრია პირველწოდებულის მონასტერში, სადაც აფხაზეთის საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ ეზიარნენ სულიერებას.

ახლადგადმოსახლებული თანამოძმეები აღფრთოვანებულნი დარჩნენ თბილი და მეგობრული ურთიერთობითა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიერ გამოჩენილი მზრუნველობით.

# საქართველოს საფორტეპიანო ხელოვნების ვირტუოზები

უჩვეულოდ თბილი საღამო გაიმართა 6 აპრილს, ბრწყინვალე აღდგომის კვირას საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში. ეს არავის გაკვირვებია, რადგან საღამოს გმირი ქართული საფორტეპიანო ხელოვნების მეტრი ბატონი თენგიზ (გიზი) ამირეჯიბი გახლდათ, რომელსაც მასპინძლობდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი სვეტლანა ქეცბას თაოსნობით. მოწვეულ სტუმრებს შორის კი ბატონი გიზის თაყვანისმცემლებსა და კოლეგებთან ერთად თბილისში დროებით მოღვაწე აფხაზი მუსიკოსები, კულტურისა და ინტელიგენციის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ.

საჭიროებს კი იმ ტრაფარეტული ფრაზის თქმა, რომ საღამომ საოცრად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა? ცხადია, არა, რადგან ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ბატონ გიზისთან შეხვედრის ბედნიერება, დამეთანხმება, რომ სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა.

ერთხელ ბატონმა ალექსი მაჭავარიანმა ბრძანა, როცა საკონცერტო დარბაზში ევგენი მიქელაძე გამოჩნდებოდა, თითქოს ყოველივე ნათდებოდა და გასაოცრად კეთილშობილურ იერს იღებდაო. ეს ყოველთვის მაგონდება ხოლმე, როდესაც დარბაზში შემოდის ბატონი გიზი ამირეჯიბი - არისტოკრატი, ამ სიტყვის უმაღლესი არსით, ყოველთვის ელეგანტური, წელში გამართული, მშვიდი და ღამაზი მომღიმარი სახით. იგი მართლაც აკეთილშობილებს იმ გარემოს, სადაც გამოჩნდება, იმავ დროს ძაბავს კიდეც მას, რადგან უდიდეს პასუხისმგებლობას და მოწიწებას გრძნობს ამ მუსიკოსის წინაშე არა მარტო შემსრულებელი, თვით მსმენელიც კი.

ამგვარ განცდებს როდი იწვევს მხოლოდ მისი ცხოვრების რვა ათეული წელი.

ხანდაზმულობის კვალიც არ ატყვია არც მის გარეგნობას, არც მის დამოკიდებულებას ახალგაზრდა კოლეგებთან თუ შეგირდებთან, არც იმ მგზნებარებას, რომელიც დღემდე არ ფერმკრთალდება მის საშემსრულებლო ხელოვნებაში. ამ მღელვარებას მისი ღრმა პროფესიონალიზმი და მუსიკისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება ბადებს. სწორედ ასეთად წარსდგა კიდევ ერთხელ აუდიტორიის წინაშე ბატონი გიზი საღამოს დასასრულს ვიდეო დისკის მინი-პრეზენტაციაზე თავისი საყვარელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებების შესრულებისას.

მაგრამ აფხაზეთის კულტურის ცენტრის ბატონ გიზისთან შეხვედრის გადაწყვეტილება მხოლოდ ამ ფაქტორებმა როდი განსაზღვრეს. მისი ძირითადი მასტიმულირებელი ის მჭიდრო კონტაქტები გახლდათ, რომლებიც სიღრმისეულად აკავშირებდა ბატონ გიზის აფხაზეთთან არა მარტო შემოქმედებითად, არამედ ცხოვრებისეულადაც. წარმოშობით სოხუმიდან არის მისი მეუღლე – შესანიშნავი მუსიკოსი, უახლოესი მეგობარი და კოლეგა გომერა გოგია, ასევე მისივე საუკეთესო შეგირდი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ალექსანდრე კორსანტია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მაინც შემოქმედებითი ურთიერთობებია, რაც გამოიკვეთა ათწლეულების მანძილზე მის მიერ სოხუმში ჩატარებული კონსულტაციების, ღია გაკვეთილების თუ კონცერტების სახით... სვეტლანა ქეცბას მოგონებიდან, რომელიც ემოციურად გაგვანდო იმ საღამოს, აღმოჩნდა, რომ ბატონი გიზის მეგობრობა აფხაზ მუსიკოსებთან ტრადიციული იყო

*(გაგრძელება მე-8 გვ.)*

*(დასაწყისი მე-7 გვ.)*

და ეს ტრადიცია ბატონი გიზის პედაგოგის ქალბატონი ანა თულაშვილის მოღვაწეობას უკავშირდება.„რაც ახლა უნდა გიამბოთ — გვითხრა მან, ჩემი კოლეგისაგან, ცნობილი პედაგოგი, ემა ბგანბასგან მსმენია. იგი აფხაზი ღვაწმოსილი მუსიკოსის ვალენტინა ზიზდო-ემხვარის მოსწავლე გახლდათ, რომლის როიალზე ლამაზ ჩარჩოში ჩასმული ასაკოვანი ქალბატონის პორტრეტი იდგა. ემა დარწმუნებული იყო, რომ სურათზე მისი მასწავლებლის ბებია იყო გამოსახული. მოგვიანებით, როცა მან სწავლა თბილისის კონსერვატორიაში გააგრძელა, აღმოაჩინა, რომ სურათზე ბებიის კი არა, მისი პროფესორის ანა თულაშვილის სახე იყო აღბეჭდილი, პედაგოგისა, რომელმაც ბატონი გიზის ხელოვნებასაც ჩაუყარა საფუძველი... დღეს ჩვენს როიალზე ბატონი გიზის პორტრეტია, რომელიც მას აქამდე არ უნახავს - დასძინა ქალბატონმა სვეტლანამ და დარბაზს ფანქარში შესრულებულ პორტრეტზე მიუთითა. ეს ჩანახატი აწგარდაცვლილ ქართველ მხატვარს გივი ყანდარელს მრავალი წლის წინ გაუკეთებია და იმ საღამოს გივი ყანდარელის ალბომთან ერთად მხატვრის მეუღლემ მა ლი-ყანდარელმა საჩუქრად უბოძა ბატონ გიზის. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩანახატი ახლახან იყო გაკეთებული და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ წლებმა ბატონ გიზის ხიბლს ვერაფერი დააკლო...

იყო კიდევ ერთი სიურპრიზი იმ საღამოს. ეს გახლდათ ნესტან მესხის„პოეტური ოპუსი“, იუმორისტული პოემა, რომელიც, კარგი კომედიის დარად, სრულად აღბეჭდავდა ბატონი გიზის პორტრეტს და დამსახურებას, მისი კლასის წარმატებულ წარმომადგენელთა მიღწევებს, სკოლისას რომელზეც დღეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. საკუთარი პოეტური ქმნილების წარმოდგენამდე მან ვრცლად ისაუბრა იმ ნაყოფიერ კონტაქტებზე, რომელიც არსებობდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა და აფხაზეთის მუსიკალურ სასწავლებელს შორის, რომ თულაშვილი -ემხვარის გზა აფხაზეთში წარმატებით გააგრძელეს ემა ბგანბამ, ეთერ გვაძაბიამ, ნაზი ჭანტურიამ, და რომ აფხაზი ახალგაზრდების მუსიკალური აღზრდის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულებმა : ალა ურიდიამ, მარჩელა ქეცბამ, ინა შერმანმა, ვიოლეტა აკიშბაიამ, მარინა არტაზოვამ, სვეტა დიაკონიძემ, ლიანა ჭკადუამ და სხვ. დღეს ზოგიერთი მათგანი აფხაზეთის გარეთ მოღვაწეობს, მაგრამ კავშირს არ წყვეტს ქართულ კულტურასთან. რაც შეეხება გიზი ამირეჯიბის აღზრდილებს — მანანა დოიჯაშვილს, ალექსანდრე კორსანტიას, ელისო ბოლქვაძეს, ხატია ბუნიათიშვილსა და სხვებს, ისინი აქტიურად დამკვიდრდნენ მსოფლიო საკონცერტო სივრცეში. მისი მოსწავლეები სისტემატურად იმარჯვებენ საერთაშორისო კონკურსებზე.

აკი თვითონ ბატონი გიზიც ერთ-ერთი პირველი ქართველი პიანისტია, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე 1949 წელს, თავისი საშემსრულებლო კარიერის დასაწყისში. მისი გამარჯვებული სტუდენტების გეოგრაფია დღეს მსოფლიო მუსიკალური ცენტრების დიდ უმრავლესობას მოიცავს — აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ისრაელი, ავსტრია, პოლონეთი... შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა.

იმ შეხვედრის საკონცერტო ნაწილი სწორედ მისი სკოლის მიღწევების დემონსტრირება იყო. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ აფხაზეთიდან ჩამოსული სალომე ჯიქია, რომელიც საკუთრივ ბატონი გიზის სტუდენტი არ არის მაგრამ მის აღზრდილთან მანანა დოიჯაშვილთან გადის მაგისტრატურის კურსს თბილისის კონსერვატორიაში. ბატონი გიზის ყოფილი სტუდენტები, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები: სანდრო ყანჩაველი, რომელიც ამჟამად შოტლანდიის სამეფო აკადემიის ასისტენტია, მზია ჯაჯანიძე — ფრაიბურგის უმაღლესი მუსიკალური სკოლის სოლისტი — დოქტორანტი, ვახტანგ ჟორდანია, თბილისის კონსერვატორიის მაგისტრატურის სტუდენტი, თამარ ლიჩელი, რომელმაც ახლახან სიცილიაში „გრანპრისთან“ ერთად სამი სპეციალური პრიზი მოიპოვა, მათ შორის„უმაღლესი პროფესიონალიზმისათვის“, და პატარა ირმა გიგანი, რომელმაც უკვე საერთაშორისო სარბიელზე დაიმკვიდრა ვუნდერკინდის სახელი.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: მუსიკოლოგები მანანა ახმეტელი და რუსუდან ქუთათელაძე, კონსერვატორიის დოქტორანტი მარიკა ლობჟანიძე, დეპუტატი ადა მარშანია.

ბატონი გიზის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ეს მცირე ექსკურსი, ცხადია, სრულად ვერ ასახავს იმ ღვაწლს, რომელიც მან დასდო საქართველოს საფორტეპიანო სკოლის წინსვლასა და სრულყოფას, იმ რთულ და საინტერესო გზას, რომელსაც დასასრული არა აქვს და დიდი მუსიკოსის მოღვაწეობის კიდევ მრავალი გამარჯვების თანამონაწილედ გაგხვდის. ამიტომ ბატონი გიზი „ვალდებულია“ დიდხანს იყოს ასეთივე მხნე, ჯანმრთელი, ენერგიული.

ეს საქართველოს მუსიკალურ კულტურას სჭირდება.

**მანანა კორძაია**
მუსიკოლოგი, ალექსი მაჭავარიანის
სახელობის მედალოსანი

# საუზეუმო ექსპონატი და აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებელი

ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმსა და სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელს შორის კონტაქტი მუზეუმის გახსნის პირველივე წლებში დამყარდა. ამის საბაბი გახდა ციმერმანის მიერ დამზადებული ვალტორნა №24398. მე-19 საუკუნის მიწურულში, სწავლის პერიოდში, სწორედ მასზე უკრავდა ზაქარია ფალიაშვილი. მოგვიანებით ჩასაბერ საკრავებზე დაკვრის ხელოვნების ასაღორძინებლად სხვასთან ერთად ეს უკანასკნელიც გადაეცა სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელს. მუზეუმის გახსნის (1962 წ.) შემდეგ, როდესაც მისმა პირველმა დირექტორმა, ჭეშმარიტმა საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ვაჟა ჩინჩალაძემ აღნიშნული საკრავის ისტორია გამოიკვლია და პრესაში გამოქვეყნებული წერილით ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახადა, სოხუმის მუსიკალურმა სასწავლებელმა, რომლის დირექტორი იმხანად შალვა გორგაძე იყო,1963 წელს საზეიმო ვითარებაში გადასცა ეს უნიკალური ექსპონატი.

მუზეუმის ერთ-ერთი რელიკვია — ვალტორნა გახდა მთავარი გმირი შეხვედრისა, რომელიც მოეწყო ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში 16 აპრილს. ამ დღეს თვალსაჩინოდ გამოფენილი, ლეგენდად ქცეული საკრავის ირგვლივ თავი მოიყარეს აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებლის აღზრდილებმა, პედაგოგ-მოსწავლეებმა და საინტერესო საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს. ვებერის, ვერდის, მოცარტის, შოპენის, რიმსკი-კორსაკოვის, არაყიშვილისა და ფალიაშვილის ვოკალური და საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულეს: ზვიად ხუბუამ, ანა შუბითიძემ, ნათია რამიშვილმა, ანა ყიფიანმა, ირმა ბერძენიშვილმა, ნანა რეხვიაშვილმა, კონცერტი დაიწყო და დასრულდა ვაჟა ცენტერაძის კლასის მოსწავლეების ბაჩანა ბექაურისა და გიორგი ჯანელიძის მიერ ვალტორნაზე აჟღერებული ნაწარმოებებით.

შეხვედრა მიჰყავდა ამ საინტერესო იდეის ავტორსა და ინიციატორს, მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს, მუსიკოლოგიის დოქტორ თამარ წულუკიძეს. საკონცერტო პროგრამის დაწყებამდე აუდიტორიას სიტყვით მიმართა სასწავლებლის დირექტორმა დავით ოკუჯავამ. მან მადლობა გადაუხადა აფხაზეთის მთავრობას და განათლებისა და კულტურის სამინისტროს სასწავლებლის აღორძინებისათვის, აგრეთვე სვეტლანა ქეცბას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო სასწავლებელს წლების მანძილზე სოხუმში, ხოლო 1996 წლიდან თბილისში, როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელმა. დასასრულს შეხვედრის მნიშვნელობა შეაფასა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა. „ამ ლეგენდარული საკრავის ისტორია იმავდროულად გვაცნობს, თუ როგორ ყალიბდებოდა სამუსიკო ხელოვნება სოხუმში“ — აღნიშნა მან.

# წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული (I)
## 29 (12.05) აპრილი, 30 (13.12) ნოემბერი

მოციქული ანდრია პირველწოდებული მოციქულთაგან პირველი შეუდგა ქრისტეს. ანდრია ბეთსაიდაში დაიბადა. მან სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი, ჭეშმარიტ სწავლებას ეძიებდა და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის, იოანეს ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. იესოს გამოჩენისას წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ მაცხოვარს და „მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა“. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა და ისიც იესოსთან მიიყვანა. ქრისტეს დამოწაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილეის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა“, რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც შეიქნენ. მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“, ღვთისმშობელს საქართველოს მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით ხელში. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თჳსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვაწლს შემდგარი, აკურთხა.

ნეტარმა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა. ქალაქ ტრაპიზონში, „რომელ არს სოფელი მეგრელთა“, წმიდანმა იხილა ადგილობრივ მკვიდრთა „უგუნურება პირუტყვებრივი“, აქ დაჰყო ჟამი მცირედი“, შემდეგ კი „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების“ და უფლის სიტყვის ქადაგება დაიწყო. ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება, „შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მკჯდრნი მის ქუეყანისანი, და წმიდა ანდრიამ „ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა“. ნეტარმა ახალმოქცეულებს დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა „რკინის ჯვარი“ — ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა მთას „რკინის ჯვარი“); ბორჯომის ხეობაში, სოფელ აწყურში მან ქვრივი დედაკაცის, სამძივარის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით-კერძო, და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ არტემისა და აპოლონის საკერპოს მღვდლებიც და შურით აღვსილებმა „იწყეს ცილობად და წინააღდგომად მოციქულისა“. შემოკრებილთაგან ზოგი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ამტკიცებდნენ: „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“. შფოთი რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარები დაეხშოთ და ელოცათ: მაცხოვრის მსასოებლებს — ქრისტეს მიმართ, კერპთმსახურებს კი — თავიანთი ღვთაებების მიმართ და ვისი ღმერთიც სძლევდა, მისთვის ეცათ თაყვანი. ასეც მიქცნენ. დახშულ ტაძართან მცველები დააყენეს. დილით, როცა კარები გააღეს, ყველამ იხილა „კერპები... ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი, ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“. მაშინ სირცხვილეულმა წარმართმა მღვდელმსახურებმა შენდობა სთხოვეს მოციქულს და მათთან ერთად მთელმა ერმა ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი.

წმიდა ანდრიამ რამდენიმე ხანი კიდევ დაჰყო აწყურში ღვთის სიტყვის ქადაგებით, აქაც მოაწყო ეკლესია, ტაძარი ააგო, მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი მესხთა მხურვალე ვედრების მიუხედავად, განეშორა ახალმოქცეულ სამწყსოს და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაან-კოლაში, სომხეთში, პართეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმიდან ნეტარი ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად დაბრუნდა ჩვენს ქვეყანაში. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა, აქედან დაჰყვნენ დასავლეთით, „განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე“, იყვნენ სამეგრელოში და სვანეთში. მატათა აქ დარჩა. სვიმონი და ანდრია კი აფხაზეთში წავიდნენ, სადაც სვიმონი მიიცვალა. ამის შემდეგ ანდრიამ ჯიქეთშიც იქადაგა.

ნესტორ მემატიანის ცნობით, წმიდა მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა, მდინარე დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს. თანმხლები მოწაფეებისთვის უთქვამს: „ხედავთ ამ მთებს? აქ ღვთის მადლი გაბრწყინდება, დიდი ქალაქი აღმოცენდება და მრავალი ტაძარი აშენდება.“

უფლის რჩეული თავისი მქადაგებლური მოღვაწეობის დროს მრავალ ჭირსა და განსაცდელს ითმენდა. უკანასკნელი ქალაქი, სადაც მან იქადაგა, იყო პატრები (საბერძნეთში). აქ უფალმა მისი მეოხებით მრავალი სასწაული აღასრულა. წმიდანის ლოცვით განიკურნნენ: მძიმედ დასნეულებული წარჩინებული მოქალაქე სოსი, პატრების მმართველის მეუღლე მაქსიმილა და მისი ძმა სტრატოკლე. ქალაქში ძალიან ცოტა წარმართი დარჩა. მათ შორის იყო ქალაქის თავი ეგაეტი. წმიდა ანდრიამ არაერთხელ უქადაგა

*(გაგრძელება მე-10 გვ.)*

*(დასაწყისი მე-9 გვ.)*

მას ღვთის სიტყვა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შემოკრებილთა წინაშე. ბოლოს წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, წმიდა მოციქული ჯვრიდან ჩამოეხსნათ. ამბოხით შეშინებულმა ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას — ხელები არ ემორჩილებოდათ. ჯვარცმულმა მოციქულმა ადიდა უფალი და აღმოხდა: „უფალო იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემი“. მაშინ ჯვარსა და მასზე გაკრულ წმიდანს ღვთაებრივი ნათელი დაადგა თავს. როცა ბრწყინვალება დაცხრა, ნეტარი ანდრია უკვე აღსრულებული იყო (+62), ქალაქის მმართველის ცოლმა, მაქსიმილამ მოციქულის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მიწას. რამდენიმე ასწლეულის შემდეგ, კონსტანტინე დიდის ზეობისას, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

***„წმიდათა ცხოვრებანი“. წიგნი I. თბილისი. 2008 წ.***

# საეკლესიო კალენდარი

| | |
|---|---|
| **2 მაისი** | — სამარიტელის კვირა. |
| **4 მაისი (სამშ.)** | — ხსენება მღვდელმოწამე ექვთიმე გაენათელ მიტროპოლიტისა (1822 წ.). |
| **5 მაისი (ოთხშ.)** | — ერგასის განზოგების დღესასწაულის წარგზავნა. |
| **6 მაისი (ხუთშ.)** | — **გიორგობა**. |
| **8 მაისი (შაბ.)** | — ხსენება წმიდისა ყოვლადქებულისა, მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა. |
| **9 მაისი** | — ბრმის კვირა. |
| **12 მაისი (ოთხშ.)** | — აღდგომის დღესასწაულის წარგზავნა.<br>— ხსენება ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა. |
| **13 მაისი (ხუთშ.)** | — **ამაღლება**. |
| **15 მაისი (შაბ.)** | — ხსენება ათანასე დიდისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა. |
| **16 მაისი (კვ.)** | — ხსენება I მსოფლიო კრების წმ. მამათა (325 წ.). |
| **20 მაისი (ხუთშ.)** | — **მამადავითობა** (წმ. დავით გარეჯელის ხსენება);<br>— ხსენება ღირსი იოანე ზედაზნელისა და მისთა 12-თა მოწაფეთა. |
| **21 მაისი (პარ.)** | — ხსენება მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღვთისმეტყველისა. |
| **22 მაისი** | — სულის შაბათი, მიცვალებულთა ხსენება. |
| **23 მაისი (კვ.)** | — სულთმოფენობა (მარტვილია). |
| **24 მაისი (ორშ.)** | — **სამებობა**. |
| **26 მაისი (ოთხშ.)** | — დღესასწაული მცხეთის ჯვარისა. |
| **28 მაისი (პარ.)** | — ხსენება ღირსი პახუმი დიდისა (348 წ.). |
| **30 მაისი** | — ყოველთა წმიდათა კვირა.<br>(პეტრე-პავლობის მარხვის აღება). |
| **31 მაისი (ორშ.)** | — ხსენება წმიდათა მამათა, რომელნი შეიკრიბნენ შვიდ მსოფლიო კრებაზე.<br>(პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისი). |

## განცხადება

***სულიერებისა და კულტურის ცენტრი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სახელოვნებო სახელოსნოში, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი გელა კანდელაკი. მიიღებიან 16-24 წლის ახალგაზრდები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ფერწერისადმი, დამთავრებული აქვთ სამხატვრო სასწავლებელი, ასევე მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული პირები. სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი. ახალგაზრდები დაეუფლებიან ხელის ჩრდილების თეატრის მსახიობისა და მხატვარ-ანიმატორის პროფესიებს.***

## განცხადება

***აფხაზეთიდან დევნილ 10-25 წლის ახალგაზრდებს ვიწვევთ მონაწილეობისათვის სამხატვრო გამოფენაში თემაზე „ჩემი აფხაზეთი“. ნამუშევრები მიიღება 20 მაისამდე მისამართზე: რუსთაველის გამზ. №37, IV სართული. სულიერებისა და კულტურის ცენტრი.***

# საქართველოს საფოსტო ფილატელიის სკოლის ფილიალები

# სამუზეუმო ექსპონატი და აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებელი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი